საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

12

დეკემბერი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 55

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1928

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

F1821

აღვნიშნავ, რომ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლების საგრძნობ ნაწილში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმე.

ყველა სკოლაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ერთიანი მაღალი პედაგოგიური მომთხოვნელობა მოსწავლეთადმი სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

დისციპლინის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა თანამიმდევრულად განუხორციელებლობისა და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო ადგილი აქვს სასკოლო დისციპლინის უხეშად დარღვევის მრავალ შემთხვევას 52-ე (დირექტორი გ. ჩერკასოვა), 54-ე (დირექტორი ვ. სიჭინავა), 55-ე (დირექტორი ი. სურგულაძე) და 58-ე (დირექტორი დ. სტურუა) საშუალო სკოლებში.

დიდია მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. სასწავლო წლის 1 მეოთხედში რაიონის სკოლებში გაცდენილია 194152 გაკვეთილი, აქედან არასაპატიო მიზეზით 34314. ხშირია აგრეთვე დაგვიანებისა და გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები.

სათანადო პედაგოგიური ტაქტის უქონლობისა ან მოუმზადებლობის გამო ბევრი მასწავლებელი ვერ ამყარებს დისციპლინას გაკვეთილებზე. ასეთი მასწავლებლებია: ნ. ჯაყელი, თ. ქაჯაია (58-ე საშ. სკოლა), გ. ქოჩიაშვილი (53-ე საშ. სკოლა), თ. მაჩაბელი (54-ე საშ. სკ.), ლ. ხოჭოლავა (61-ე საშუალო სკოლა).

კლასის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი არ სწავლობს მოსწავლეთა პირობებს, მათ უნარს, შესაძლებლობასა და მისწრაფებებს, წინასწარ, ტრაფარეტულად შედგენილი გეგმით „წარმართავს მუშაობას“, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როცა საბუთების მიხედვით „ყველაფერი რიგზეა“, ფაქტიურად კი მოსწავლეები სისტემატურად უხეშობენ, ზლიან მეცადინეობას, იპარებიან გაკვეთილებიდან, არ ემორჩილებიან უფროსებს (54-ე საშუალო სკოლა).

54-ე, 52-ე, 57-ე საშუალო სკოლების დირექტორების მიერ უგულვებელყოფილია კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების წამყვანი როლი დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევებს საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში (102-ე, 61-ე, 63-ე, 64-ე საშუალო სკოლები).

რაიონის მილიციის ბავშვთა ოთახების მიერ აღრიცხულია 61-ე, 102-ე, 62-ე, 63-ე და 64-ე სკოლების მოსწავლეთა ქურდობის, ბაზარში ხეტიალის, ხელზე ვაჭრობის მრავალი შემთხვევა. პედაგოგები არ მორიგეობენ მილიციის ბავშვთა ოთახებში (52-ე, 53-ე, მე-60, 61-ე და სხვა სკოლები).

რაიონის განათლების განყოფილებამ ქმედითად ვერ მოჰკიდა ხელი სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეს. სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე გასული მეოთხედის განმავლობაში აღმზრდელობითი ხასიათის არც ერთი საკითხი არ განხილულა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად გატარება;

ბ) დაუყოვნებლივ დააყენონ საკითხი იმ პედაგოგთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკვეთილზე წესრიგის დამყარებას;

გ) ხშირად მოაწყონ ლექცია-მოხსენებები სკოლაში დისციპლინის განმტკიცების პედაგოგიური ხერხებისა და საშუალებების შესახებ;

დ) არ დაუშვან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანება — გაპარვის შემთხვევები;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარჩინებული სწავლის და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მშობელთა შორის. პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე პერიოდულად დააყენონ საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისადმი გულგრილობას და უპასუხისმგებლობას იჩენენ;

ზ) აღკვეთონ ბავშვთა ოთახებში მასწავლებელთა მორიგეობის შეუფასებლობა, მიაღწიონ, რომ ყოველი პედაგოგი მორიგეობდეს დაწესებულ საათებში:

თ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიონ ის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად არღვევენ დისციპლინას და მათ მიმართ გაატარონ პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებანი.

2. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) სკოლების კომპლექსური შემოწმებისას სათანადო ყურადღება დაუთმოს დისციპლინის საკითხების შესწავლას:

ბ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე დრო და დრო მოისმინოს სკოლების დირექტორების მოხსენებანი დისციპლინის მდგომარეობის შესახებ, საკითხის წინასწარ შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

გ) შეისწავლოს მოწინავე კლასის ხელმძღვანელების და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და მოახდინოს მათი განზოგადება:

დ) განიხილოს ეს ბრძანება რაიონის სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა აქტივის თათბირზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 18 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1999

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 22 დეკემბერი

ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების სკოლების მუშაობაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მუშაობს კეთილსინდისიერად, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნას.

კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ე. ფარჯანაძე, ე. ლებანიძე (ონის II საშუალო სკოლა), კ. ხიდეშელი, ვ. ბაკურაძე, თ. ციცქიშვილი (ამბროლაურის საშუალო სკოლა), პ. დოხნაძე (ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლა), თ. ტყეშელაშვილი, ე. ფრუიძე (ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ვ. იაშვილი (ონის II საშუალო სკოლა), გ. კერესელიძე (ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლა), შ. დვალი (ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლა), ს. გვენეტაძე, ვ. მესხი (ამბროლაურის საშუალო სკოლა); ინგლისური ენის მასწავლებლები: მ. ხიდეშელი (ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლა), ვ. ბოჭორიშვილი (ამბროლაურის საშუალო სკოლა) და სხვ.

ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი კ. კენჭაძე სისტემატურად ზრუნავს ფიზიკის კაბინეტის შევსებაზე. მას ფიზიკის კაბინეტთან მოწყობილი აქვს პატარა სახელოსნო დაზიანებული ხელსაწყოების შესაკეთებლად. იგი კარგად არის დაუფლებული როგორც საგანს, ისე მისი სწავლების მე-

თოდებს. მასწავლებელი კენჭაძე არც ერთ გაკვეთილს არ ატარებს სათანადო ცდებისა და დემონსტრირების გარეშე. მის მოსწავლეებს დამზადებული აქვთ თვითნაკეთი ხელსაწყოები (დახრილი სიბრტყე, ბერკეტი, ოწინარის მოდელი, ჩარჩო მექანიკაში და სხვ.), სქემები და დიაგრამები. ასევე კარგად მუშაობს ამბროლაურის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ე. ჯავახიძე, რომელმაც საშეფო ორგანიზაციის და მშობელთა აქტივის დახმარებით შეიძინა ავტომობილის თითქმის ყველა ნაწილი.

ი. კერვალიშვილისა (ონის რაიონის სორის საშუალო სკოლა) და ა. ჭელიძის (ამბროლაურის საშუალო სკოლა) მოსწავლეებს აქვთ პრაქტიკული ხასიათის ჩვევები ქიმიაში. მათ შეუძლიათ მარტივი ხელსაწყო-იარაღების აწყობა და გამოყენება, სამუშაო ხსნარების დამზადება, ზოგიერთი ქიმიური ნაერთების მიღება და სხვ.

შესწავლილი სკოლებიდან უმრავლესობას აქვს ცალკე სასწავლო კაბინეტი ბიოლოგიაში. ჭრებალოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტში (მასწავლებელი მ. კიკვიძე) ფართოდ არის გამოყენებული სასწავლო მასალად სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით მოყვანილი ცალკეულ კულტურათა მოსავლის ნიმუშები. ამ სკოლის მოსწავლეებმა სკოლის ნაკვეთიდან „აჯამეთის თეთრი“ ჯიშის სიმინდის 40 ცენტნერი მოსავალი მიიღეს ჰექტარზე გადაყვანით.

მაგრამ ამბროლაურისა და ონის რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მეთოდურად სუსტ, გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს, ვერ ფლობს საგანს, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ ეცნობა სკოლის ცხოვრებაში წამოჭრილ ახალ საკითხებს, ზოგიერთმა მასწავლებელმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო გრამატიკის სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრა; ენას ასწავლის ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით. სუსტად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნ. ჯაფარიძე (ონის II საშუალო სკოლა), ს. ბერიშვილი (ონის რაიონის სორის საშუალო სკოლა), თ. ჯანელიძე (ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლა), გ. ცხვედიანი (ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლა).

მასწავლებელი გ. ცხვედიანი სრულებით არ ემზადება გაკვე-

ლებისათვის, მან შემოწმების დღეს ახალი მასალის ახსნის დროს მეშვეობითი ფორმის ზმნების მაგალითებად დაფაზე დაწერა „ვამლოვინებ“, „ვაჭროვინებ“, „ვახნოვინებ“. იგი მოსწავლეებს ასწორებინებს დაშვებულ შეცდომებს. თვითონაც გაუსწორებელი რჩება ისეთი უხეში შეცდომები, როგორიცაა „თლათ“, „სახში“, „რემელიც“, „პოლი“ და სხვ. მასწავლებელი გ. ცხვედიანი ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ნამუშევრებს. წერით ნამუშევარში, რომელიც მის მიერ „ხუთზეა“ შეფასებული, შეუმჩნეველი იყო 11 უხეში შეცდომა.

ზერელედ ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს სორის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ს. ბერიშვილი. მას VII კლასში 20 ნოემბრამდე 4 წერა ჩაუტარებია, მაგრამ შეცდომების გასწორება არც ერთხელ არ უწარმოებია. მასწავლებელი ვერ ამჩნევს ასეთ უხეშ შეცდომებს: „ამირანს საბრძოლველად სადაც წავიდოდა ყველგან გამარჯვებული ბრუნდებოდა“, „ფთხილად“, „რომელშიდ“ და სხვ.

სუსტად მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ბურდილაძე (ონის მე-2 საშ. სკოლა, II კლასი), ევგენი და ბარბარე მეტრეველები (ონის რაიონის უწერის საშ. სკოლა), თ. ჯაფარიძე (ონის რაიონის ღარის რვაწლიანი სკოლა) და სხვ. ეს მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ ბავშვებს მისცენ სწორი კითხვის ჩვევები; უშვებენ შეცდომებს: ამბროლაურის რვაწლიანი სკოლა, მასწავლებელი ა. ჯანელიძე („Чем оканчивается мальчик“, „нету тебе дневник“), ონის მე-2 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ვ. ბიჭიაშვილი („объясню непонятных слов“).

უწერის საშუალო სკოლის V, VI, VII კლასებში რუსულ ენას ასწავლის ევგენი მეტრეველი, რომელმაც ძალზე სუსტად იცის საგანი და უშვებს უხეშ შეცდომებს (Помощники жили богато. Главный помощник был — Царь (помещик). „Имение было распущено (ნაცვლად запущено)“.

საკონტროლო ნამუშევრების გასწორების დროს მასწავლებელი თვითონ უშვებს შეცდომებს, მოსწავლეები სწერენ სწორად „рыбы“ მეტრეველი წითელი მელნით ასწორებს „риби“.

საკონტროლო წერითი ნამუშევრები შეფასებულია ლიბერალურად. მაგ., მოსწავლე რეხვიაშვილის ნამუშევარი, რომელშიც 17 შეცდომაა, შეფასებულია „3“-ზე. მოსწავლე ჯ. ჯაფარიძის ნამუშე-

ვარში 16 შეცდომაა, მაგრამ 3-ზეა შეფასებული (მასწ. ნ. ბენდიანაშვილი, ონის მე-2 საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთ სკოლაში არ არის სათანადოდ დაყენებული კლასგარეშე კითხვა. მეთოდკომისიის მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს; იგი არ ემსახურება მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას ინგლისურ ენაში (უწერის საშუალო სკოლის IX კლასი).

ამბროლაურის რაიონის ტოლის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ალგებრაში დაბალია. მასწავლებელი ლ. ნამგალაძე ყურადღებას არ აქცევს არითმეტიკაში შესწავლილი წესების განზოგადება-გაღრმავებას, მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს, ლიბერალურად აფასებს, ხოლო გეომეტრიას თვალსაჩინოების გარეშე ასწავლის. VIII კლასის მოსწავლეებს დაზეპირებული აქვთ თეორემები, მაგრამ პრაქტიკული სახის ამოცანების ამოსახსნელად მათი გამოყენების უნარი არ შესწევთ. ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. ბ. მეტრეველი) და ღარის რვაწლიანი სკოლის VII—VIII კლასების (მასწ. მ. მეტრეველი) მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში დაბალია. მასწ. მ. მეტრეველი სწავლებისას მიმართავს ლექციურ მეთოდს, კლასს არ აბამს მუშაობაში. ონის მე-2 საშუალო სკოლის მასწ. ი. სულაძე ნაკლებად იყენებს გეომეტრიის სწავლებისას თვალსაჩინოებას, მაშინ, როდესაც სკოლას საკმაო რაოდენობით მოეპოვება გეომეტრიული სხეულები, შლილები, მინისაგან დამზადებული სხეულები და სხვ.

ამბროლაურის საშულო სკოლის XI კლასის (მასწ. პ. ომიაძე) მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციების მრავალსახეობაზე. მასწ. პ. ომიაძე ტრიგონომეტრიაში პარალელურად არ აწარმოებს გეომეტრიული ამოცანების ამოხსნას ტრიგონომეტრიის გამოყენებით.

საერთოდ აღნიშნული რაიონების სკოლებში მასწავლებლები არ იყენებენ გეომეტრიის სწავლებისას თვალსაჩინოებას და მოსწავლეებს არ ავარჯიშებენ პრაქტიკული სახის ამოცანების ამოხსნაზე.

რიგ სკოლებში საგნობრივი კომისიების მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. კომისიებში წაკითხული მოხსენებები ზოგადი ხასიათისაა და არ ასახავენ მასწავლებლის პრაქტიკულ გამოცდი-

ლებას. მათემატიკის წრის სამუშაო გეგმებში შეტანილია ძირითადად საპროგრამო მასალიდან აღებული თემები ან ისეთი საკითხები, რაც წრის მუშაობას არ შეეფერება (ამბროლაურის რაიონის ... ლის რვაწლიანი სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკის სწავლება ზოგიერთ სკოლაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ფიზიკის კაბინეტისათვის ცალკე ოთახი არ არის გამოყოფილი ონის რაიონის სორის საშუალო სკოლაში (დირექტორი. კერვალიშვილი). აქვე მოუწესრიგებელია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვის საქმე. ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი დ. უგულავა) მოუვლელი, დამტვერიანებული და ნაწილობრივ დაჟანგული ხელსაწყო-იარაღები კარადებში უწესრიგოდ ჰყრია.

ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ენუქიძე) ხელსაწყოები კარადების უქონლობის გამო ღია თაროზეა დალაგებული.

არ წარმოებს კაბინეტების სისტემატური შევსება ხელსაწყო-იარაღებით. სკოლების მიერ ათვისებული არ არის ბიუჯეტით მათზე გათვალისწინებული თანხები. მაგალითად, ონის საშუალო სკოლას 5100 მანეთიდან ათვისებული აქვს 1350, ონის II საშუალო სკოლას 5100 მანეთიდან 1402 მანეთი.

ფიზიკის კაბინეტებთან არ არის შექმნილი ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, არა აქვთ დამხმარე ხელსაწყო-იარაღები; არ სრულდება პროგრამული მოთხოვნები ლაბორატორულ სამუშაოთა ჩატარებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტის შესახებ, სწავლების გათვალსაჩინოებისათვის არ იყენებენ სქემებსა და ნახაზებს, არ ექცევა ყურადღება თვითკეთებას.

ზოგ სკოლაში ფიზიკას ასწავლიან არასპეციალისტები და საათები განაწილებულია რამდენიმე მასწავლებელზე. ასე, მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლაში ფიზიკის 26 საათი განაწილებულია 5 მასწავლებელზე, რომელთაგან ორი მათემატიკოსია, ამბროლაურის საშუალო სკოლაში კი ფიზიკის 34 საათი განაწილებულია 4 მასწავლებელზე, რომელთაგან ერთი მათემატიკოსია და 1 ქიმიკოსი. ჭრებალოს საშუალო სკოლაში ფიზიკის სამი მასწავლებლიდან 2 ბუნებისმეტყველია.

ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ზრუნავს თავისი პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არ ემზადება ყოველდღიური მუშაობისათვის და დაბალ დონეზე ატარებს გაკვე-

თილს. სორის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ე. ნამგალაძე ვერ ერკვევა საგნის სწავლების მეთოდურ საკითხებში, ვერ აკავშირებს ახალ მასალას გავლილთან და ვერ ახერხებს საშინაო დავალების დოზირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები არ იყენებენ თვალსაჩინოების იმ შესაძლებლობასაც კი, რაც სკოლებს გააჩნიათ, ვერ ფლობენ კაბინეტში არსებულ ხელსაწყო-იარაღებზე მუშაობის ტექნიკას. დაბალია ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლის VII, VIII კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში. VII კლასის მასწავლებელმა თ. მურუსიძემ თვით არ იცის დინამომეტრით ხახუნის ძალის გაზომვა. ყოველგვარი ცდისა და დემონსტრირების გარეშე ატარებს გაკვეთილებს VIII კლასში მასწავლებელი გ. დვალაძე.

დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ აგრეთვე ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის VIII და XI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი დ. უგულავა) ისინი ვერ ახერხებენ კანონების ზუსტ ფორმულირებას, ვერ ერკვევიან ფიზიკური მოვლენების კანონზომიერებაში. მოსწავლეებს არ ესმით მათემატიკური ფორმულების ფიზიკური შინაარსი და თეორიულ ცოდნას ვერ იყენებენ პრაქტიკული საკითხების გადაჭრისათვის.

ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლაში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები ქიმიაში. მართალია, ამ სკოლაში ქიმიის კაბინეტისათვის 45 კვმ ოთახია გამოყოფილი, მაგრამ ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს საგნის სწავლების მოთხოვნებს. ამის გამო მოსწავლეებს ნაკლებად გააჩნიათ პრაქტიკული ხასიათის ჩვევანი (მასწავლებელი თ. მეტრეველი). ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლაში ქიმიის კაბინეტისათვის გამოყოფილია მცირე ზომის ოთახი. აქ აქვთ საჭირო ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები, მაგრამ მოსწავლეთა სიმრავლის გამო არ ხერხდება პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება (მასწავლებელი ე. კიკვიძე).

ქიმიის საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმაში პრაქტიკული ხასიათის საკითხები უგულვებელყოფილია, სრულებით არ არის ჩამოყალიბებული ქიმიის წრე ამბროლაურის საშუალო სკოლაში.

მოუგვარებელია სასწავლო ექსკურსიების საქმე. სკოლებს არა აქვთ ექსკურსიების ჩატარების ერთიანი გეგმა და ექსკურსიები ან ყოველგვარი გეგმის გარეშე ან სულ არ ტარდება. მაგალითად, შე-

მოწმების დღისათვის სრულებით არ ჰქონდა ჩატარებული სასწავლო ექსკურსია ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს მ. მეტრეველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებებს და სკოლების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ სათანადო ნაბიჯები მოსწავლე ახალგაზრდობის შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის შრომითი ჩვევებით შესაიარაღებლად. ამბროლაურის და ონის რაიონების არც ერთ შემოწმებულ სკოლაში (გარდა სინათლისა და ჭრებალოსი) მოწყობილი არ არის სასწავლო სახელოსნო, დაბალ აკადემიურ დონეზე და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ტარდება პრაკტიკუმები მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში. ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლებში ტექნიკური წრეების მუშაობას.

ცუდად ისწავლება ფიზიკური კულტურა ამბროლაურის რაიონის ტოლის რვაწლიან სკოლაში. მასწავლებელი ვ. ფოფხაძე ვერ ერკვევა ფიზიკური კულტურის ელემენტარულ საკითხებში. არც მან და არც მისმა მოსწავლეებმა არ იციან იმშთ-ს თავისუფალი ვარჯიშები. მასწავლებელმა არ იცის, თუ როგორ უნდა შედგეს სამუშაო გეგმა, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, გაკვეთილის გეგმა და სხვ.

ჩაშლილია კლასგარეშე სპორტული მუშაობა, არ ტარდება სპორტული ღონისძიებები სინათლის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ა. ქევანაშვილი).

შემოწმებულ სკოლებში დაბალი შედეგებით დამთავრდა პირველი მეოთხედი. ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის საერთო მოსწრება 62, 1%-ია, ონის მეორე საშუალო სკოლისა — 65%, ამბროლაურის რაიონის 5124 შეფასებული მოსწავლიდან ასწრებს 3984, ე. ი. ჩამორჩება ყოველი მეხუთე მოსწავლე.

სუსტად არის დაყენებული კლასის ხელმძღვანელთა საგრძნობი ნაწილის მიერ აღმზრდელობითი მუშაობა. კლასის ხელმძღვანელები ზერელედ ასრულებენ თავის მოვალეობას, გულისხმიერად არ უდგებიან თითოეულ მოსწავლეს, საფუძვლიანად არ სწავლობენ მოსწავლეთა ოჯახურ პირობებსა და გარემოს. ტრაფარეტულია მათი სამუშაო გეგმები; ხშირად I და XI კლასების ხელმძღვანელთა გეგმები ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდება.

ზოგ სკოლაში სუსტია შინასაკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის

გამგე სისტემატურად არ ესწრება გაკვეთილებზე მასწავლებლებს, არ ახდენს მოსმენილი გაკვეთილების ღრმა გაანალიზებას და არ უწევს მათ საჭირო მეთოდურ დახმარებას. ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ალ. ჩუმაშვილს შემოწმების დროისათვის მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 27 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. მეტრეველს კი —33 გაკვეთილი.

ონის რაიონის უწერის, სორისა და ონის II, ამბროლაურის რაიონის სინათლის, ჭრებალოს და ამბროლაურის საშუალო სკოლებში პიონერთა ორგანიზაციების მუშაობაზე განათლების განყოფილებების, სახალხო განათლების საბჭოების, სკოლების დირექტორების, კლასის ხელმძღვანელების დახმარება-ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელია. მოუქნელად მუშაობენ უფროსი პიონერხელმძღვანელები, სუსტია პიონერთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლი სწავლაში, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან ონის და ამბროლაურის პიონერთა სახლები პიონერთა ორგანიზაციებს მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში.

ონისა და ამბროლაურის რაიონების სკოლების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში მთლიანად ჩასაბმელად და სკოლიდან მათი განთესვის წინააღმდეგ. მაგალითად, ონის მეორე საშუალო სკოლას (დირექტორი ე. ფარჯანაძე) ჩამოცილდა V — VIII კლასების 9 მოსწავლე, აქედან 4 გათხოვდა, 5 კი სამშენებლო-სარემონტო კანტორაში მუშაობს; სინათლის საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ენუქიძე) განითესა 4, სორის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. კერვალიშვილი) 3 და ა. შ. დროულად არ ფორმდება საპატიო მიზეზით მოსწავლის სკოლიდან გასვლა (საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევა, ავადმყოფობა და სხვ.). არ აწარმოებენ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალებს. ამბროლაურის რაიონის სოფ. ტოლის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში 1954 წლის 27 სექტემბრის შემდეგ არავითარი აღრიცხვა არ უწარმოებიათ, თუმცა მას შემდეგ 21 მოსწავლე ჩამოშორებია სკოლას და შეუძლებელია დადგენა, თუ ისინი სად წავიდნენ.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ზოგი სკოლის პედსაბჭოს მუშაობა. სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს არ უმსჯელიათ და საჭირო ღონისძიებები არ დაუსახავთ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლების წინაშე მდგომი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ირგ-

ვლივ, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების, თერთმეტწლიანი სწავლებიდან ათწლიან სწავლებაზე გადასვლის ლონისძიებანი და სხვ.

ონის რაიონის უწერის, სორის, ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე არა-საკმაოდ იხილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. მიღებული დადგენილებები ზოგადია. ოქმები იწერება უწიგნურად. ამბროლაურის რაიონის ჭრებალოსა და სინათლის საშუალო სკოლების საოქმე წიგნები არ არის ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

რიგ სკოლებში დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპი. ძნელად დასაძლევი საგნები ცხრილში მოქცეულია მეექვსე გაკვეთილებად. მაგალითად, ონის მე-2 და უწერის საშუალო სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურასა და ფიზიკას VII, X და XI კლასებში ორ-ორჯერ მეექვსე გაკვეთილები აქვთ დათმობილი.

შემოწმებულ სკოლებში მასწავლებლები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან საკლასო ჟურნალების მოვლა-პატრონობას. ადგილი აქვს ამოფხეკისა და ჩასწორების შემთხვევებს. ზოგჯერ მასწავლებლებს საკონტროლო წერისა და მიმდინარე შეფასების ნიშნები არ შეაქვთ საკლასო ჟურნალში.

ონის რაიონის სორისა და ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლებში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. ჩაუწერელია პედაგოგიური დახასიათება, შეუვსებელია ცნობები მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ და გადასწორებულია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ნიშნები.

მოუგვარებელია მასწავლებელთა პირადი საქმეების წარმოება. ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის 21 მასწავლებლიდან სრულ წესრიგში მხოლოდ 4 მასწავლებლის პირადი საქმეა. ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლის 5 მასწავლებლის პირად საქმეში მხოლოდ განათლების ცენზის დამადასტურებელი საბუთი აღმოჩნდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთი-

ლები, მოსმენილი გაკვეთილების ღრმა ანალიზის საფუძველზე მიცემენ კონკრეტული მითითებები მასწავლებლებს ცალკეული საგნების სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სასწავლო წლის მანძილზე მოიყვანონ წესრიგში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები, შეავსონ ისინი პირველი რიგის საჭიროების იარაღ-ხელსაწყოებით, რეაქტივებითა და პრეპარატებით;

გ) გააუმჯობესონ საგნობრივი წრეების მუშაობა;

დ) გულდასმით გადასინჯონ სკოლების წლიური (ნახევარწლიური) და კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები, ზოგადი ხასიათის საკითხები შეცვალონ კონკრეტულით და მიაღწიონ დაგეგმილი სამუშაოს ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას;

ე) სასწავლო წლის მესამე მეოთხედისათვის გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილები და ერიდონ ძნელად ასათვისებელი საგნების უკანასკნელ საათებად შეტანას;

3) სათანადო ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოების შექმნისათვის;

ზ) შეადგინონ შინასასკოლო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი სხვადასხვა სახის შეჯიბრებების სიტემატურად ჩატარების მიზნით;

თ) იზრუნონ საკუთარი ძალებით სპორტული მოედნებისა და მძლეოსნური სექტორების მოწყობისათვის;

ი) დააწესონ მტკიცე კონტროლი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალების ზუსტად წარმოებაზე;

კ) დაამყარონ წესრიგი მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაში.

2. სკოლების დირექტორებმა და კლასების ხელმძღვანელებმა სკოლის წლიურ სამუშაო და კლასის ხელმძღვანელთა საალმზრდელო გეგმებში გაითვალისწინონ პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე ხელმძღვანელობა-დახმარების საკითხები.

3. მასწავლებლებმა:

ა) გულისხმიერად გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები და სისტემატურად აწარმოონ კლასებში მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება;

ბ) ენის სწავლება დაუკავშირონ პრაქტიკულ ვარჯიშს. გრამატიკის ყოველი კატეგორია ასწავლონ შეგნებულად, ისე, რომ ზეპირი

და წერითი მეტყველების დროს მოსწავლე კარგ ცოდნას ამყარებდეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მეთოდკომისიების მუშაობა სკოლებში გახადონ უფრო არსიანი და საინტერესო. გეგმებში ზოგადი ხასიათის თემების ნაცვლად შეიტანონ უფრო კონკრეტული, მათ ყოველდღიურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

4. ამბროლაურისა და ონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ა. ზალკალიანი და ნ. ჯაფარიძე):

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. გულდასმით შეისწავლონ სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობა. შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. დასახონ საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ მათი განხორციელება;

ბ) უზრუნველყონ სკოლას ჩამოცილებულ ბავშვთა დაბრუნება სკოლაში და გაატარონ ქმედითი ზომები არსებული კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

გ) მოაწესრიგონ მასწავლებელთა პირადი საქმეები სკოლებში.

5. რუსული ენის უცოდინარობისა და ამ საგნის სწავლების ცუდად დაყენების გამო შეუძლებლად ჩაითვალოს ონის რაიონის სოფ. უწერის საშუალო სკოლის V, VI, VII კლასების მასწავლებელ ე. მეტრეველის დატოვება რუსული ენისა და ლიტერატურული კითხვის მასწავლებლად.

6. ფიზკულტურის სწავლების სუსტად დაყენებისათვის საჭიროდ ჩაითვალოს ამბროლაურის რაიონის სოფ. ტოლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელ ვ. ფოფხაძის განთავისუფლება.

7. ნარკვევი მასალები მასწავლებლების ე. მეტრეველისა (უწერის საშუალო სკოლა) და ვ. ფოფხაძის (ტოლის რვაწლიანი სკოლა) შესახებ გადაეგზავნოს ონისა და ამბროლაურის რაიონების განათლების განყოფილებებს საკითხის საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის სხდომებზე განსახილველად.

8. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გ. ცხვედიანს.

9. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ნ. ჯა-

ფარიძეს (ონის II საშუალო სკოლა), ს. ბერიშვილს (ონის რაიონის სორის საშუალო სკოლა);

ბ) რუსული ენისა და ლიტერატურული კითხვის მასწავლებლებს ვ. ბიჭიაშვილს (ონის II საშუალო სკოლა), ა. ჯანელიძეს (ამბროლაურის რვაწლიანი სკოლა);

გ) ფიზიკის მასწავლებლებს: ე. ნამგალაძეს (სორის საშუალო სკოლა), დ. უგულავას (უწერის საშუალო სკოლა), თ. მურუსიძესა და გ. დვალაძეს (ჭრებალოს საშუალო სკოლა);

დ) მათემატიკის მასწავლებლებს: ლ. ნამგალაძესა (ტოლის რვაწლიანი სკოლა), და ბ. ძეტრეველს (უწერის საშუალო სკოლა).

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 16 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

F184

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 22 დეკემბერი

ამბროლაურის საშუალო და ონის II საშუალო სკოლების პიონერული რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე სკოლის მიერ გაწეული ხელმძღვანელობის შესახებ

გავეცანი, რა მასალებს ამბროლაურის საშუალო და ონის II საშუალო სკოლების პიონერული რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე სკოლის მიერ გაწეული ხელმძღვანელობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ ამბროლაურის საშუალო სკოლაში პიონერთა რაზმეულისა და რაზმების მუშაობა შედარებით უკეთ არის დაყენებული (სკოლის დირექტორი ამხ. ლ. ტურძილაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ამხ. ქ. მომცელიძე). რაზმეულისა და რაზმების შეკრებებისათვის შერჩეული თემატიკა პიონერთათვის საინტერესო და სახალისოა. ჩატარებულია შეკრებები თემებზე „როგორი უნდა იყოს პიონერი", „კარგი სწავლით ვასახელოთ სამშობლო", „კომკავშირი ოთხგზის ორდენოსანი". პიონერთა რაზმეულთან ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის გუნდი. აწყობენ ექსკურსიებს, შეხვედრებს, პიონერები აქტიურად მუშაობენ პიონერთა სახლის სხვადასხვა თვითშემოქმედებით წრეებში, კოლექტიურად ესწრებიან შესაფერის კინოფილმებს, უშვებენ რაზმეულისა და რაზმების კედლის გაზეთებს, ყველა პიონერი ატარებს პიონერულ ყელსახვევს, სამკერდე და განმასხვავებელ ნიშნებს, აქვთ პიონერთა ოთახი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ონის II და ამბროლაურის საშუალო სკოლებში პიონერთა ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და კომკავშირის ორგანიზაციებისადმი დახმარება, როგორც კლასის ხელმღვანელების, ისე განათლების განყოფილებებისა და სახალხო განათლების საბჭოების მხრივ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ონის II საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. ე. ფარჯანაძე)

წლიური სამუშაო და კლასის ხელმძღვანელების საალმზრდელო გეგმებში არ არის გათვალისწინებული პიონერთა ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობისა და კომკავშირის ორგანიზაციებზე დახმარების საკითხები. სუსტია სკოლის მოსწავლეთა, კომკავშირელთა და პიონერთა მოსწრება. ასე, მაგალითად, 1955/56 სასწავლო წლის I მეოთხედში მოსწავლეთა მოსწრება 65% უდრის. სკოლის საერთო მოსწრებაზე გაცილებით დაბალია პიონერთა მოსწრება (53, 6%). 170 პიონერიდან ხუთზე მხოლოდ ერთი პიონერი ასწრებს; V კლასის (კლასის ხელმძღვანელი ა. ჯაფარიძე) პიონერთა მოსწრება 51,5% უდრის, VI კლასის (კლასის ხელმძღვანელი თ. გამყრელიძე)—50%, VII[1] კლასის (კლასის ხელმძღვანელი ე. ხახიაშვილი)—50%, IX[1] კლასის (კლასის ხელმძღვანელი ლ. ახვლედიანი) კომკავშირელთა მოსწრება 72,2% უდრის, IX[2] კლასის (კლასის ხელმძღვანელი თ. ხიდეშელი) მოსწრება 70%, X[1] კლასის (კლასის ხელმძღვანელი თ. მძელიშვილი) 78%. შედარებით უკეთესია ამბროლაურის საშუალო სკოლის პიონერთა (86%) და კომკავშირელთა (82%) მოსწრება. ამ სკოლაში ცალკეული კლასების მიხედვით მოსწრება შემდეგ სურათს იძლევა: VI კლასის (ხელმძღვანელი ვ. ბაკურაძე) 78,7%, VII კლასის (ხელმძღვანელი ვ. კაციტაძე) 94,4%, XI[2] კლასის (ხელმძღვანელი ამხ. კ. ხიდეშელი) 78,4%, X[1] კლასის (ხელმძღვანელი ე. ჯავახიძე) 78,1%, IX[3] კლასის (ხელმძღვანელი მ. ვაჩაძე) 83,3%, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი.

კლასის ხელმძღვანელების უმრავლესობა არ იცნობს კომკავშირის მე-12 ყრილობის დადგენილებას „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ", დებულებას „ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ" და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებებს (1953 წლის 31 იანვარი, 1954 წლის 29 აპრილი) პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაზე სკოლების მიერ გაწეული ხელმძღვანელობის შესახებ. სკოლების დირექტორებს კლასის ხელმძღვანელთათვის არ ჩაუტარებიათ სემინარები, არ მიუციათ კონკრეტული მითითებანი იმის შესახებ, თუ რა ძირითადი საკითხები უნდა შეეტანათ კლასის საალმზრდელო გეგმებში პიონერთა ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობისა და კომკავშირის ორგანიზაციისადმი დახმარების თვალსაზრისით.

სუსტია ონის II საშუალო სკოლის(უფროსი პიონერხელმძღვანელი ამხ. ძ. დგვარელი) პიონერთა რაზმეულისა და რაზმების მუშაობა. არ ტარდება პიონერხელმძღვანელთა სემინარები, ან სწორი მოებს პიონერული აქტივის სწავლება, სათანადოდ არ ამზადებენ რაზმეულისა და რაზმის შეკრებებს. შეკრების თემატიკა არ არის პიონერთათვის საინტერესო, რის გამო შეკრებები ტარდება უხალისოდ. რაზმებისა და რაზმეულის შეკრებებს არა აქვს რეგულარული ხასიათი: არ არის გამოყენებული მოწინავე კომკავშირელთა და პიონერთა პირადი მაგალითი. პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში არჩეულია 10 ისეთი პიონერი, რომელთაც ყველა საგანში აქვთ ნიშანი „3"; პიონერთა უმრავლესობა არ ატარებს პიონერულ ყელსახვევს, სამკერდე და განმასხვავებელ ნიშნებს. რაზმეულის სამუშაო გეგმა არ არის დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. ყველა რაზმი არ არის უზრუნველყოფილი პიონერული ატრიბუტებით.

ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობას ატარებენ ონისა და ამბროლაურის პიონერთა სახლები. რაიონის სკოლების რაზმეულებისა და რაზმების შეკრებების საორიენტაციო თემატიკის შერჩევისას ისინი არ ითვალისწინებენ პიონერთა ასაკს, მომზადებას, მისწრაფებასა და ინტერესს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ონისა და ამბროლაურის საშუალო სკოლების დირექტორებმა არსებითად გარდაქმნან პიონერთა ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა და კომკავშირის ორგანიზაციისადმი დახმარება, რისთვისაც:

ა) სკოლის წლიურ სამუშაო და კლასის ხელმძღვანელების საალმზრდელო გეგმებში კონკრეტულად გაითვალისწინონ პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კომკავშირის ორგანიზაციებზე ყოველდღიური დახმარების უზრუნველყოფის საკითხები, გულდასმით განიხილონ პიონერთა რაზმეულის სამუშაო გეგმები და დაამტკიცონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე;

ბ) ზუსტად განახორციელონ საკავშირო ალკკ მე-12 ყრილობის დადგენილება „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ" და განათლების მინისტრის 1954 წლის 29 აპრილის (№1328) ბრძანება „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორ-

განიზაციის მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველჰყონ ყოველი შეკრებისათვის პიონერთა ასაკის მომზადების, მისწრაფებისა და ინტერესის შესაბამისი თემების შერჩევა და მათ დამუშავებაში პიონერთა აქტიური მონაწილეობა, რითაც აღმოფხვრან ფორმალიზმი რაზმეულებისა და რაზმების მუშაობის პრაქტიკიდან და ნამდვილად უზრუნველჰყონ შეკრებების მომზადებულად ჩატარება;

დ) სწავლაში ჩაბმულ პიონერებთან და კომკავშირლებთან ყოველდღიური მუშაობით უზრუნველჰყონ ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია;

ე) როგორც პიონერული, ისე კომკავშირული კლასების ხელმძღვანელთათვის მოაწყონ 4 საათიანი სემინარი საკავშირო ალკკ მე-12 ყრილობის დადგენილებათა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ არსებული დებულების შესასწავლად;

ვ) პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერთა შორის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდას, ამ მიზნით სპეციალური შეკრებები მიუძღვნან ტექნიკის დარგში გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, ჩამოაყალიბონ რაზმებთან „ხელმარჯვეთა" წრეები, უზრუნველჰყონ კონკურსში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას" და მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაში პიონერთა და კომკავშირელთა ნებაყოფლობით ჩაბმა;

ზ) პერიოდულად მოისმინონ უფროსი პიონერხელმძღვანელის მოხსენება ცალკეულ რაზმებში მუშაობის მიმდინარეობის მდგომარეობაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

თ) სკოლის სასწავლო ხარჯებიდან შეიძინონ პიონერთა რაზმის ატრიბუტები, ალბომები პიონერთა რაზმეულისა და რაზმების დღიურებისათვის, პლაკატები და მოაწყონ ბიგი ცალკეული რაზმებისათვის;

ლ) უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ პიონერთა მხატვრულ აღზრდას, მეტი რაოდენობით ჩააბან პიონერები მხატვრული კითხვის წრის, საგუნდო სიმღერებისა და ხატვა-ძერწვის შემსწავლელ წრეებში;

3. პიონერთა სახლების დირექტორებმა ალკკ რაიონულ ორგა-

ნიზაციებთან კავშირში ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ პიონერთა აქტივს, ჩაატარონ სემინარები, შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან, ექსკურსიები, საუბრები და ნამდვილად ეცადონ, ველჰყონ სწავლაში პიონერთა ავანგარდული როლის მიღწევა.

4. ამბროლაურის და ონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეიტანონ განათლების განყოფილებებისა და სახალხო განათლების საბჭოების სამუშაო გეგმებში საკითხები პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე ხელმძღვანელობის, აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციისადმი დახმარების შესახებ;

ბ) 1956 წლის 10 იანვრამდე უზრუნველჰყონ პიონერთა სახლების ბინის გაფართოება მათთვის ნორმალური მუშაობისათვის პირობების შესაქმნელად;

გ) უზრუნველჰყონ 1956 წლის 20 იანვრამდე გაზეთ „პრავდის" 29/XI მოწინავე სტატიის „კომკავშირი და სკოლა" მასწავლებელთა თათბირზე განხილვა.

5. სკოლების დირექტორებმა აღნიშნული ბრძანება დაამუშაონ მასწავლებელთა თათბირებზე.

6. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს აღნიშნული ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 16 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2001

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 22 დეკემბერი

ამბროლაურისა და ონის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ამბროლაურისა და ონის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკების მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესებულია.

ამბროლაურის საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკას დათმობილი აქვს ორი ოთახი — წიგნსაცავისა და სამკითხველოსათვის. დიდი და ნათელი ოთახია გამოყოფილი ბიბლიოთეკისათვის ონის მე-2 საშუალო სკოლაშიც. აღნიშნული ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილი არიან საჭირო ინვენტარით. ამბროლაურის საშუალო სკოლის 378 მოსწავლიდან ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველია 300 მოსწავლე. საკმაოდ მდიდარია ონის მე-2 და ამბროლაურის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი: ონის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში 5.505 წიგნი ირიცხება, ხოლო ამბროლაურის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში — 4.830. წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკურად. წიგნადი ფონდი ყოველწლიურად ივსება ახალი ლიტერატურით: მიმდინარე წელს ონის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკამ 1400 მანეთის წიგნები შეიძინა, ხოლო ამბროლაურის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკამ 700 მანეთისა. დიდი რაოდენობით არის გამოწერილი პერიოდული გამოცემები — საბავშვო და პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთები. ამბროლაურის, ონის მე-2 და სორის (ონის რაიონი) საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების გამგეები თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ წიგნის პროპაგანდას: ეწყობა საუბრები წიგნის მნიშვნელობაზე, მის მოვლასა და დაცვაზე, ხდება გასაუბრება მკითხველებთან წაკითხული

წიგნის გარშემო, ტარდება მკითხველთა კონფერენციები, წიგნის ხმამაღალი კითხვა, ეწყობა ახალი ლიტერატურის გამოფენები, შედგენილია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით. ბიბლიოთეკის კედლებზე გაკრულია პლაკატები წიგნის მნიშვნელობის შესახებ, მწერალთა პორტრეტები და სხვ.

ონის რაიონის სორის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე თამარ სეფეს ასული კერვალიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია მუშაობის პირობები — არ აქვს შესაფერი ბინა და ინვენტარი,— მაინც ახერხებს მიიზიდოს მკითხველები და წესრიგში ჰქონდეს მთელი საბიბლიოთეკო მეურნეობა.

მაგრამ ამბროლაურისა და ონის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

მთლიანად ჩაშლილია ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობა. ბიბლიოთეკის გამგეს ქრისტინე ონისიმეს ასულ მეტრეველს არა აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება. მიუხედავად იმისა, რომ მას მოსმენილი აქვს ორთვიანი საბიბლიოთეკო კურსები, ამჟღავნებს საბიბლიოთეკო საქმის სრულ უცოდინარობას. წიგნები არა აქვს დამუშავებული ბიბლიოთეკურად, სრულიად მოუგვარებელია საბიბლიოთეკო მეურნეობა. ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება მკითხველთა სიაც კი. უვარგისია ბიბლიოთეკის სამუშო გეგმა, საინვენტარო ჟურნალი უწიგნურად და უსუფთაოდ არის შედგენილი. ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ოთახი მოუწყობელია. კედლებზე გაკრულია გადახუნებულ ქაღალდებზე დაწერილი, ბიბლიოთეკისათვის შეუფერებელი ლოზუნგები. ჟურნალ-გაზეთები უსისტემოდ ყრია ფანჯრის რაფაზე. შემოწმების პერიოდში, მთელი ერთი სამუშაო დღის მანძილზე, ბიბლიოთეკაში არ შემოსულა არც ერთი მკითხველი. ბიბლიოთეკაში სრულიად არაფერი კეთდება წიგნის პროპაგანდისათვის. არ ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, არ წარმოებს მოსწავლეთა მიერ წაკითხული წიგნების შესახებ შთაბეჭდილებების წერა. ბიბლიოთეკის გამგე არ არის დაკავშირებული კლასის ხელმძღვანელებთან და საგნის მასწავლებლებთან, არ იყენებს მათ მკითხველთა მიზიდვისა და საერთოდ ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსიანად მოწყობის საქმეში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა აგრეთვე ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში. გამგეს კატო დიმიტრის ასულ ქემოკლიძეს არა აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის გამოცდილება. წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული ბიბლიოთეკურად. სკოლის 343 მოსწავლიდან მხოლოდ 42 მოსწავლეა ჩაბმული ბიბლიოთეკაში.

ონის რაიონის სორის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას გამოწერილი არა აქვს სკოლისათვის ისეთი საჭირო და აუცილებელი გაზეთები, როგორიცაა „ნორჩი ლენინელი“ და „სახალხო განათლება“.

ამბროლაურისა და ონის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი არაწესიერად კომპლექტდება. წიგნების შეძენისას არავითარი ყურადღება არ ექცევა თვით სასკოლო ბიბლიოთეკის მოთხოვნილებასა და საჭიროებას. სკოლებს ხშირად ეგზავნება ისეთი წიგნები, რაც სრულიად ზედმეტია სასკოლო ბიბლიოთეკისათვის, ან რაც უკვე აქვს სკოლას. მაგალითად, ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა წიგნის მატიანე 13 ეგზემპლარი, გაზეთის მატიანე 8 ეგზემპლარი, მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნეობის, ეკონომიკის, მემინდვრეობის ინსტიტუტების, ენერგეტიკის სექტორის, მეხილეობის საცდელი სადგურის შრომები და სხვ. ონის II საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში კი შეუძენიათ „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ (სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემული), საქართველოს მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების მეგზური, გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები და მრავალი სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ონისა და ამბროლაურის რაიონების სხვა სასკოლო ბიბლიოთეკებშიც, მაშინ როდესაც ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ საბავშვო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ბავშვებისათვის საყვარელი წიგნები.

არადამაკმაყოფილებლად ხდება ბიბლიოთეკების შევსება რუსული საბავშვო, ტექნიკური, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით. ამ ლიტერატურის ის მცირე ფონდიც, რაც ონისა და ამბროლაურის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკებს გააჩნიათ, თითქმის ხელუხლებელია. არც ბიბლიოთეკის მუშაკები და არც საგნის მასწავლებლები არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ბავშვები ეწაფებოდნენ რუსულ საბავშვო ლიტერატურას, ან ტექნიკური ხასიათის წიგნებს.

სასკოლო ბიბლიოთეკების უმრავლესობას გამოწერილი არ აქვს რუსული საბავშვო ჟურნალები. არც ერთ შემოწმებულ სკოლაში გამოწერილი არ არის ტექნიკური ხასიათის ჟურნალები „Знание—сила“ და „Техника молодежи“.

ონისა და ამბროლაურის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკები არ არის მომარაგებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების საალრიცხვო ფორმებით და ტექნიკური მასალით (სხვადასხვა სახის აქტის ბლანკები, მკითხველის ფორმულარი, საკატალოგო ბარათი, წიგნის ფორმულარი, ჯიბე და სხვ.).

არ არის შესრულებული საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება № 5415 (1954 წ. 22 ნოემბერი), რომლითაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას ევალებოდა ამ ფორმების დაბეჭდვა და დაგზავნა სკოლებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ:

ა) გაათავისუფლოს სამუშაოდან უწერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ქ. ო. მეტრეველი, როგორც ამ საქმისათვის შეუფერებელი;

ბ) უზრუნველყოს სორის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი ბინის გამოყოფა.

2. ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ:

პირველი შესაძლებლობისთანავე მიავლინოს ბიბლიოთეკართა გადასამზადებელ კურსებზე ჭრებალოსა და სინათლის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების გამგეები კ. დ. ქემოკლიძე და ე. ი. ვაჩაძე.

3. სკოლების დირექტორებმა:

ა) დააწესონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაზე.

ბ) უზრუნველჰყონ კლასის ხელმძღვანელთა და საგნების მასწავლებელთა მჭიდროდ დაკავშირება ბიბლიოთეკასთან და მათი ყოველდღიური დახმარებით ბიბლიოთეკის უფრო შინაარსიანი და ნაყოფიერი მუშაობა;

გ) მიაღწიონ იმას, რომ მკითხველები სისტემატურად სარგებლობდნენ ტექნიკური, სამეცნიერო-პოპულარული და რუსული საბავშვო ლიტერატურით.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს აეკრძალოთ წიგნების შეძენა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. წიგნების შეძენა აწარმოონ მხოლოდ ბიბლიოთეკარის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე, რომ ბიბლიოთეკარმა:

ა) წიგნების დაგზავნა სკოლებისათვის აწარმოოს თვით სკოლების საჭიროებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებით, იმ მიზნით, რომ სასკოლო ბიბლიოთეკები კომპლექტდებოდეს მათთვის საჭირო და შესაფერისი ლიტერატურით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტექნიკური, მეცნიერულ-პოპულარული და რუსული საბავშვო ლიტერატურით, აგრეთვე მასწავლებელთათვის მეთოდური ლიტერატურით დაკომპლექტებას;

დ) უზრუნველჰყოს ამბროლაურისა და ონის სასკოლო ბიბლიოთეკები საბიბლიოთეკო დოკუმენტების საღრიცხვო ფორმებითა და სხვა ტექნიკური მასალით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 15 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1955 წლის 21 ნოემბერი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა, მის ორგანოებსა და დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მოძრაობისა და განხილვის წესის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი

1. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა, მისი ორგანოებისა და ყველა დაქვემდებარებული დაწესებულების მუშაობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

2. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას ახორციელებს უშუალოდ ორგანიზაციის და წარმოების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

ამ საქმის სხვა პირისათვის გადანდობა დაუშვებელია,

3. მშრომელთა წერილობითი განცხადებებისა და საჩივრების განხილვასთან ერთად სახალხო განათლების ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები აწესებენ მთხოვნელთა მიღების დღეებსა და საათებს პირად საქმეებზე და აგრეთვე საჩივრებზე ქვემდებარე დაწესებულებების მუშაობის შესახებ.

4. საჩივრებისა ან განცხადებების გადაგზავნა შესამოწმებლად ან განსახილველად იმ ორგანიზაციებისა ან პირებისათვის, რომელთაც ეხება ეს საჩივარი, კატეგორიულად აკრძალულია.

ამ ორგანიზაციებიდან ან პირთაგან შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ახსნა-განმარტება მათზე შემოსული საჩივრის არსებითი მხარის შესახებ.

5. მშრომელთა განცხადებები და საჩივრები განხილული უნდა იქნას განათლების სამინისტროებსა და საოლქო განათლების განყოფილებაში არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა დღიდან საჩივრის შემოსვლისა, ხოლო სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებაში — არა უგვიანეს 20 დღისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი ან განცხადება მოითხოვს ორგანიზაციისა ან დაწესებულების ხანგრძლივ შემოწმებას, შემმოწმებელი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს ან ორგანიზაციას, საიდანაც შემოსულია ეს განცხადება ან საჩივარი.

6. განცხადებისა და საჩივრის განხილვა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც განმცხადებელს ეცნობება მისი განცხადების ან საჩივრის გამო მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი შესრულების შესახებ.

7. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისას ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გამოარკვიონ საჩივრის გამომწვევი მიზეზები და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

8. განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციის მუშაკებს, რომლებიც სისრულეში არ მოიყვანენ საჩივრის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, აგრეთვე გააჭიანურებენ მის შესრულებას ან უყურადღებოდ მოექცევიან მშრომელთა განცხადებებს, მოეთხოვებათ პასუხი.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველ სამმართველოსა, განყოფილებასა, წარმოებასა და სხვა ქვემდებარე ორგანიზაციებში შემოღებულ უნდა იქნას მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების რეგისტრაცია, აგრეთვე დაწესებულ უნდა იქნას სისტემატური ყოველდღიური კონტროლი საჩივრებისა და განცხადებების განხილვასა და მოძრაობაზე, აგრეთვე მათ შესახებ მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე.

მუშაკებს, რომლებიც დაკარგავენ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს, დაედებათ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

10. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვა და კონტროლი მათ მოძრაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებსა, განყოფილებებსა, ორგანიზაციებსა და წარმოებებში უნდა დაევალოს აპარატის ერთ-ერთ მუშაკს.

II. საჩივრებისა და განცხადებების მოძრაობის წესი

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული საჩივრები და განცხადებები, კანცელარიის მიერ საერთო სარეგის-

ტრაციო ჟურნალსა და ალფაბეტურ წიგნში მათი გატარების შემდეგ, გადაეცემა დანიშნულებისამებრ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მშრომელთა საჩივრები და განცხადებები მათი მიღებისთანავე რეგისტრაციაში ტარდება სამმართველოებსა და განყოფილებებში და იმავე დღეს განსახილველად გადაეცემა სამმართველოს (განყოფილების) უფროსს ან მის მოადგილეს. ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, ჟურნალში სათანადო აღნიშვნის შემდეგ, საჩივარი ან განცხადება გადაეცემა შემსრულებლებს, ან გაიგზავნება ფოსტით დანიშნულებისამებრ.

მუშაკი, რომელსაც დაკისრებული აქვს აღრიცხვა და კონტროლი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების მოძრაობაზე, ვალდებულია თვალყური ადევნოს მათ შესრულებას.

13. განცხადების ან საჩივრის შემოწმებისა და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პასუხი უნდა ეცნობოს განმცხადებელს და აგრეთვე იმ ორგანიზაციას, საიდანაც შემოსულია საჩივარი ან განცხადება, იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს პასუხს.

14. მუშაკები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვასა და მათ მოძრაობაზე, ვალდებულნი არიან თვეში ორჯერ (1 და 15 რიცხვებში) ინფორმაცია გაუკეთონ ხელმძღვანელს შემოსული იმ განცხადებებისა და საჩივრების შესახებ, რომელთა განხილვის ვადები უკვე გასულია.

15. განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სამმართველოს, განყოფილების უფროსი) ვალდებულია, თუ საჩივარი შემოწმებას არ მოითხოვს დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება და აღნიშნოს , თუ ვინ უნდა შეასრულოს ეს გადაწყვეტილება და დააწესოს შესრულების ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი შემოწმებას მოითხოვს, ხელმძღვანელი ვალდებულია განსაზღვროს მისი შემოწმების წესი, გამოჰყოს შემმოწმებელი და დააწესოს შემოწმების ვადა.

16. მუშაკი, რომელსაც დაევალება საჩივრის ან განცხადების შემოწმება, ვალდებულია ყოველმხრივ და ობიექტურად გაერკვეს საქმეში, მოლაპარაკების ან წერილობითი შეკითხვის გზით, დაადგინოს განმცხადებლის პრეტენზიები, შეამოწმოს განცხადებაში მითითებული ფაქტები, მიიღოს ახსნა-განმარტება იმ პირთაგან, რომელთაც ეხება საჩივარი, აგრეთვე დაკითხოს სხვა დაინტერესებული

ან მცოდნე პირები და, საჭირო შემთხვევაში, სათანადო ორგანიზაციებში შეამოწმოს არსებული მასალები.

ამ მასალების ანალიზისა და დამუშავების შემდეგ ექსპერტიზის ვალდებულია შეადგინოს ცნობა შემოწმების შედეგების შესახებ თავისი დასკვნითა და წინადადებით და წარუდგინოს ხელმძღვანელს (სამმართველოს, განყოფილების უფროსს) გადაწყვეტილების მისაღებად საჩივრისა ან განცხადების გამო.

17. იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი ან განცხადება შეიძლება გადაწყვეტილ იქნას ქვემდებარე ორგანიზაციის (წარმოების) დასკვნის საფუძველზე, საჭიროა დასკვნის გარდა მას მოეთხოვოს ამომწურავი კონკრეტული ახსნა-განმარტება საჩივარში მოხსენებული თითოეული ფაქტის შესახებ, ყოველგვარი ფორმალური მიმოწერისა და არაკონკრეტული პასუხების გარეშე.

განცხადებისა და საჩივრის გარშემო არასწორი და წინასწარი განზრახვით ყალბი ცნობების მიწოდებისათვის დამნაშავე პირნი მკაცრად უნდა დაისაჯონ.

18. თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფო ქონების გატაცების, გაფლანგვის, პროდუქციის დაზიანების და სხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ შემოსული სიგნალები, აგრეთვე საჩივრები ცალკეული ხელმძღვანელის უღირსი მოქმედებისა, ხელმძღვანელობის მანკიერი მეთოდებისა და კრიტიკის ჩახშობის შესახებ შემოწმებულ უნდა იქნას, როგორც წესი, ადგილზე არადაინტერესებული მუშაკების მიერ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

III. საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობის შემოწმება

19. ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან პერიოდულად შეამოწმონ ქვემდებარე ორგანიზაციებსა და წარმოებებში, აგრეთვე თავის აპარატში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა.

ამ მიზნით გამოყოფილი სპეციალური კომისიის ან ცალკეული პირის გარდა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმება უნდა დაევალოს მივლინებაში გაგზავნილ მუშაკებს.

20. შემოწმების მასალების საფუძველზე ორგანიზაციების და წარმოებების ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

IV. განცხადებებისა და საჩივრების შენახვა

21. განცხადებები და საჩივრები, რომელთა განხილვა არ [illegible] დამთავრებული, უნდა ინახებოდეს შემსრულებელთან სხვა მიმოწერისგან განცალკევებით.

22. იმ განცხადებების და საჩივრების გარშემო წარმოებული მიმოწერის მასალები, რომელთა განხილვა დამთავრებულია, უნდა ინახებოდეს ცალკე ყდაში იმ მუშაკებთან, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მათ აღრიცხვაზე და მოძრაობის კონტროლზე.

თითოეულ საქმეში (ყდაში) ცნობების მოძებნის გასაადვილებლად, უნდა ინახებოდეს მასში მოთავსებული საქმეების სია.

23. საჩივრებისა და განცხადებების ჩაბარება არქივისათვის ხდება საარქივო სამმართველოს მიერ დაწესებული წესისა და ვადების მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი **ვ. კეშელავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

МЕТОДИЧЕСКИЕ УКАЗАНИЯ О ВИДАХ И КОЛИЧЕСТВЕ ПИСЬМЕННЫХ РАБОТ ПО ИНОСТРАННОМУ ЯЗЫКУ

Основы письма по иностранному языку закладываются с 5-го класса.

Письмо является одним из средств закрепления и проверки знаний учащихся.

По иностранному языку проводятся классные, домашние и контрольные письменные работы. Они зависят один от другого и представляют из себя единый процесс. Домашняя письменная работа является естественным продолжением классной работы, а путем проведения контрольной письменной работы проверяются знания и навыки, полученные учащимися.

Домашними письменными работами, которые учащимися выполняются дома самостоятельно, закрепляются умения и навыки, полученные ими на уроке. Классными же письменными работами закрепляются умения и навыки, получаемые учащимися на одном или нескольких уроках.

Над систематическим выполнением домашних и классных письменных работ должен быть установлен строгий контроль. Вместе с этим, преподаватель должен проверять качество их выполнения, как на уроке, так и путем исправления тетрадей надому.

Проведением контрольных работ не только суммируются знания, полученные учащимися по фонетике, орфографии, лексике, грамматике, но проверяется также и умение самостоятельно применять полученные знания.

Следовательно, контрольные письменные работы проводятся тогда, как после проведения целого ряда домашних и классных письменных работ, тот или иной программный мате-

риал основательно проработан и усвоен учащимися, иначе говоря контрольной письменной работе предшествуют классные и домашние письменные работы.

Для контрольной письменной работы преподаватель должен подбирать более характерные примеры, вместе с тем контрольная работа не должна быть труднее письменной работы, выполненной учащимися в классе или дома.

День, предназначенный для проведения контрольной работы, должен быть известен учащимся. Недопустимо контрольную работу проводить на последнем уроке четверти.

Анализ и исправление типичных ошибок, допущенных в контрольной работе, производится на следующем уроке в тетрадях для контрольных работ.

При исправлении классных и домашних письменных работ или оценке контрольных работ преподаватель должен принимать во внимание не только орфографическую, стилистическую и пунктуационную сторону работы, но и аккуратность выполнения и каллиграфию учащгося. Оценки контрольных работ преподаватель должен вносить в классный журнал тем числом, когда была проведена контрольная работа.

Тетради для классно-домашних работ преподаватель должен исправлять по крайней мере один раз в месяц. Исправляя работу, он не выставляет отметку, а ставит лишь свою подпись и дату исправления.

Классные письменные работы проводятся:

в V классе	на каждом уроке	продолжительностью от 5 до 15 минут, в зависимости от материала.
в VI „	в неделю 2 раза	
в VII „	„ 1 раз	

Контрольные письменные работы должны проводиться в следующем количестве:

четверти / классы	I	II	III	IV	Всего
V кл.	1	2	2	2	7
VI—X кл.	2	2	2	2	8
XI кл.	2	2	2	1	7

Учащиеся должны иметь три тетради: словарную, для классно-домашних и для контрольных письменных работ.

При проведении контрольной письменной работы преподаватель должен написать на доске число, вид контрольной работы (диктант, ответы на вопросы, заполнение пропущенных мест и т. п.) и тему (если возможно ее назвать).

Контрольным письменным работам следует уделить:

в V—VI классах	—20—25 минут	(тут подразумевается продолжительность процесса письма, не считая организационного момента)
в VII—VIII „	—25—30 „	
в IX—XI „	—35—40 „	

Виды письменных работ могут повторяться в последующих классах, но в старших классах работа должна проводиться на более трудном материале и в более сложной форме.

Ввиду того, что в иностранном языке существует определенная разница между печатным шрифтом и прописью, в V классе внимание учащихся в первую очередь следует обратить на это обстоятельство. С этой целью необходимо использовать списывание с доски прописных и из книги печатных текстов. Целесообразно также проводить запись отдельнных букв, слогов и слов наизусть или под диктовку.

По иностранным языкам в основном должны применяться зрительный, объяснительный и слуховой диктанты.

Зрительный диктант является хорошим средством для выработки у учащихся навыков внимательного списывания текста. Этот вид диктанта, который в основном применяется в пятом классе, проводится следующим образом: учащийся внимательно читает слово или фразу, затем закрывает книгу и пишет.

Во время объяснительного диктанта в выявлении и объяснении трудностей активно участвует весь класс. Этот вид диктанта применяется на всех ступенях обучения. При проведении объяснительного диктанта учащиеся, перед тем как писать, делают детальный анализ каждого слова или предложения.

Применение слухового диктанта начинается с последней четверти в пятом классе и продолжается до конца обучения. Принимая во внимание те трудности, с которыми учащиеся сталкиваются во время выполнения слухового диктанта, на первых порах нужно проводить его только в виде классной письменной работы.

Из перечисленных видов диктанта в качестве контрольной письменной работы можно применять лишь слуховой диктант.

Для диктанта преподаватель должен заранее составить краткое изложение содержания пройденного текста или-же составить новый текст, построенный на знакомой лексике.

При проведении диктанта предварительное и окончательное чтение всего текста, подобранного для диктанта, обязательно на всех ступенях обучения.

Для проведения контрольного диктанта предусмотрено следующее количество слов по классам:

в V кл.	— 15—20 слов	в IX кл.	— 40—45 слов
в VI „	— 20—25 „	в X „	— 45-50 „
в VII „	— 25—30 „	в XI „	— 50—60 „
в VIII „	— 35—40 „		

(в общее количество слов не входят служебные слова)

Во время проведения контрольного диктанта учащимся иногда нужно давать и дополнительную работу фонетического, орфографического, грамматического или лексического характера. В таких случаях число слов в диктанте следует сократить в соответствии с трудностью дополнительного задания.

Перевод, как с родного языка на иностранный, так и с иностранного на родной, проводится во всех классах.

Преподаватель дает всему классу одно или несколько предложений для перевода. После исполнения перевода учащимися, один из них выходит к доске и пишет свой перевод. При этом необходимо тут-же произвести объяснение орфографических, лексических и грамматических ошибок.

В X—XI классах рекомендуется проводить контрольный перевод незнакомого иностранного текста на родной язык с применением словаря.

Приводимые ниже виды письменных работ могут быть применены для проведения как классных и домашних, так и контрольных письменных работ.

V класс

1. Списывание букв и отдельных слов с доски.
2. Списывание печатного текста с книги.
3. Списывание текста с подчеркиванием слов, указанных с определенной целью.
4. Заполнение пропусков в предложении данными словами или грамматическими формами.
5. Ответы на вопросы с помощью учебника.
6. Перевод данного предложения из утвердительной формы в вопросительную и отрицательную.
7. Перевод коротких предложений, составленных на знакомой лексике, с иностранного языка на родной.
8. Составление предложения из данных слов.
9. Перевод коротких предложений, составленных на знакомой лексике, с родного языка на иностранный.
10. Письмо под диктовку отдельных слов и предложений, составленных на знакомой лексике.

VI класс

1. Заполнение пропусков в предложении данными словами или грамматическими формами.
2. Постановка вопроса к выделенному члену предложения.
3. Письмо под диктовку короткого текста, построенного на знакомой лексике, с применением пройденных грамматических и орфографических правил.
4. Перевод в соответствующее время глагола, данного в предложении в инфинитиве; замена в предложении существительных местоимениями, перевод существительных в

предложении из единственного числа во множественное и т. п.

5. Ответы на вопросы.

6. Составление предложения из данных слов.

7. Списывание текста с изменением времени, лица или числа.

8. Выписывание из текста тех предложений, которые содержат (одну или две) изученные грамматические формы.

9. Перевод с иностранного языка на родной предложения, построенного на знакомой лексике и грамматическом материале.

10. Перевод с родного языка на иностранный коротких предложений, составленных из знакомых слов.

VII класс

1. Ответы на вопросы.

2. Описание картины несложного содержания.

3. Перевод предложения из одного времени в другое.

4. Диктант на пройденном лексическом и грамматическом материале.

5. Перевод предложения в вопросительную и отрицательную формы того или иного времени.

6. Перевод предложения из действительного залога в страдательный и наоборот (классная и домашняя работа по английскому языку).

7. Заполнение пропусков в предложении данными словами или грамматическими формами.

8. Синтаксический разбор предложения (с подчеркиванием подлежащего одной чертой, сказуемого—двумя и т.д.).

9. Списывание готического шрифта латинским шрифтом (немецкий язык).

10. Объединение двух предложений в одно предложение при помощи союзов.

11. Выписывание из текста тех предложений, которые содержат (одну или две) изученные грамматические формы.

12. Перевод с иностранного языка на родной предложений, составленных из знакомых слов.

13. Перевод с родного языка на иностранный предложений, составленных из знакомых слов.

VIII класс

1. Ответы на вопросы.

2. Заполнение пропусков в предложении данными словами или грамматическими формами.

3. Письмо под диктовку текста, построенного на пройденном материале.

4. Перевод предложения во все пройденные времена; из действительного залога в страдательный и наоборот (английский и немецкий языки); из прямой речи в косвенную и наоборот.

5. Синтаксический разбор предложения по схеме.

6. Описание картины.

7. Перевод с иностранного языка на родной с применением изученных лексических и грамматических форм.

8. Перевод маленьких текстов с родного языка на иностранный.

IX класс

1. Изложение краткого содержания пройденного текста по данному преподавателем плану.

2. Ответы на вопросы.

3. Письмо под диктовку текста, построенного на пройденном материале.

4. Синтаксический и морфологический разбор предложения.

5. Перевод предложения во все пройденные времена; из действительного залога в страдательный и наоборот (английский и немецкий языки).

6. Перевод с иностранного языка на родной с применением изученных лексических и грамматических форм.

7. Перевод короткого текста с родного языка на иностранный.

8. Составление вопросов к пройденному тексту.

X и XI классы

1. Ответы на вопросы.

2. Перевод короткого текста с родного языка на иностранный.

3. Перевод на родной язык несложного текста из художественной, общественно-политической, научно-популярной литературы (при помощи словаря).

4. Письмо под диктовку с применением изученных грамматических и орфографических правил.

5. Изложение краткого содержания текста при помощи узловых вопросов.

6. Синтаксический и морфологический разбор предложения по схеме.

7. Перевод предложения во все пройденные времена; из действительного залога в страдательный и наоборот.

8. Изложение на родном языке содержания текста, прочитанного или услышанного на иностранном языке (классная работа).

9. Составление вопросов к пройденному тексту.

10. Заполнение пропусков в предложении лексическими или грамматическими формами.

Начальник управления школ **Г. Сакварелидзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	ბრძანება № 1928—ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ . .	3
2.	ბრძანება № 1999—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ .	6
3.	ბრძანება № 2000—ამბროლაურისა და ონის II საშუალო სკოლების პიონერული რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე სკოლის მიერ გაწეული ხელმძღვანელობის შესახებ	18
4.	ბრძანება № 2001—ამბროლაურისა და ონის რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	23
5.	ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა, მის ორგანიზებსა და დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მოძრაობისა და განხილვის წესის შესახებ	28
6.	Методические указания о видах и количестве письменных работ по иностранному языку	38

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ვ. ბურჭულაძე

ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,75.

უე00216. ტირაჟი 5000. შეკვ. № 2396.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.